

ნახ. ი. შინაშვილისა

თარგმანად და შვეულ-
ად: „კლავინდებურად მდარა
მშენებლობის ხარისხი“.

ამას წინათ „ნიანგის“ მრავალ მაგიდასთან თავი მოიყარეს ჩვენმა სახელოვანმა მშენებლებმა. აღიძრა მშენებლობისთან დაკავშირებული მრავალი აქტუალური საკითხი! — ჩვენს ქალაქში ხომ ყოველწლიურად მრავალი ათასი ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას?! — ბევრი რამ აქვთ ერთმანეთთან გასაზიარებელი მოზინადრეებსა და მშენებლებს. მით უფრო, როცა მშენებლობის ტემპი დღით დღე იზრდება და ჩვენი დედაქალაქი არნახული სისწრაფით მატულობს. ნაგებობას ნაგებობა ემატება, ქუჩას — ქუჩა, უბანს — უბანი, მიკრორაიონს — მიკრორაიონი, მასივს — მასივი... ბუნებრივია, როგორც საქები, ისე დასაფიქრებელიც ბევრია.

მე-2 მიკრორაიონის მე-5 კვარტალის მე-3 კორპუსის I სადარბაზოს მე-7 ბინის მოზინადრე: — შეიძლება თუ არა ახალაშენებულ კორპუსში შესვლა?

189-ე სამშენებლო ტრეტის თანამშრომელი: — ახალაშენებულ კორპუსში შესვლა, რა თქმა უნდა არ შეიძლება! უნდა გავიდეს გარკვეული ხანი მისი ჩაბარების შემდეგ, რათა დაერწმუნდეთ ნაგებობის მდგრადობაში!

მე-3 მასივის მე-2 კვარტალის მე-4 კორპუსის II სადარბაზოს მე-8 ბინის მოზინადრე: — რა იქვევს ახალაშენებული საცხოვრებელი კორპუსის საექსპლუატაციოდ გადაცემა-მდე ნგრევას?

207-ე სამშენებლო ტრეტის მთავარი ინჟინერი: — საშენი მასალის უკმარობა. მოგეხსენებათ, მოქალაქეებს სჭირდებათ სხადასხვა სახის სამშენებლო მასალა, რომლის დეფიციტაცა ჩვენს რესპუბლიკაში. ისინი იძულებული არიან, მიმართონ მშენებარე ობიექტებს. მშენებლები კი ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ მათი მზარდი მოთხოვნები. ისინი ნაღდ ანგარიშზე, ანუ ხელზე ყოდიან სამშენებლო მასალებს. ყოველივე ეს აკლდება მშენებარე ობიექტებს და, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, მდგრადობას აცლის მათ.

ნუცუბიძის ფერდობის მე-2 მიკრორაიონის მე-8 კვარტალის მე-6 კორპუსის მე-12 ბინის მოზინადრე: — რა ღირს კილო ცემენტო?

312-ე სამშენებლო ტრეტის ბრიგადირი: — ეგრეთ წოდებული ზუსტი სააფთი-აქო სასწორი ჩვენ არა გვაქვს.

ცემენტს პირდაპირ ქაღალდის ტომრებით ვყიდით. გააჩნია ცემენტის ხარისხსაც. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ფასს ემატება ტრანსპორტირების თანხაც. **ვარკეთილის დასახლებების მე-9 მიკრორაიონის მე-4 კვარტალის მე-5 კორპუსის 58-ე ბინის მოზინადრე (საცხოვრებელი კორპუსი ჩაბარებულია, შიგ ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ჭერ აშენებული არ არის):** — რა ღირს ერთი „სველი წერტილის“ დამონტაჟება სანტექნიკური სამუშაოს შესრულებისას?

518-ე სარემონტო კანტორის ინჟინერი: — სამშენებლო მასალის ფასების მომა-

პლატონას დუქანთან მდებარე მე-12 კორპუსის 79-ე ბინის მოზინადრე: — ვალდებულია თუ არა მოზინადრე, ბინის რემონტის დროს, თუ ის ჭერ ბინაში გადასული არ არის, ხელოსანს მიუტანოს საქმელსანმელი?

მშენებელი ინჟინერი: — ხელოსანი ვალდებულია, თვითონ მოაგვაროს თავისი კამასმის საკითხი. მაგრამ კვების ობიექტი თუ სარემონტო ბინიდან დაშორებულია, მაშინ ხელოსანი ასაღები თანხიდან წინასწარ ურაცხავს გარკვეული რაოდენობის თანხას საქმელსანმელისთვის მოზინადრეს. ეს უკანასკნელი კი ამ შემთხვევაში ვალდებულია, ხე-

არ ვიხით, როგორ შეაგუპიან!

იუმორისკა



ტებასთან ერთად იზრდება სამუშაოს ღირებულებაც. აქამად, ხელოსნის ენაზე რომ ვთქვათ, ერთი „სველი წერტილის“ დამონტაჟების ფასი არ აღემატება საშუალო თვიური ხელფასის 99 პროცენტს.

თემქის დასახლებების მე-8 მიკრორაიონის მე-4 კვარტალის მე-7 კორპუსის 72-ე ბინის მოზინადრე: — რა ღირს კვადრატული მეტრის შეღვსვა გაჯით?

მთავარი ბრიგადირი: — გააჩნია დროს. არსებობს სეზონური ფასები. ზამთრის თვეებში მეტი სიიაფა.

ლოსანს მიუტანოს საქმელიც და სასმელიც, რბილად რომ ვთქვა, მაგარი..

რომელიდაც მოზინადრე: — ხშირად ადგილზე არ არის ესა თუ ის გადაწყვეტილი, ჩვენ კი, სამუშაოდან გამოსულთ, დრო არა გვაქვს საათობით ველოდოთ მას. ხომ არ შეიძლება, ზოგიერთი ფართო მოხმარების დეფიციტური საქონელი მაღაზიაში გაიყიდოს „შვი ბაზრის“ ფასებში?

სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენელი: — ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა სჯა-ბაასი. მალე ექსპე-

რემენტის სახით დაგეგმვათ ამ სახის ვაჭრობასაც. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ზოგიერთ სავაჭრო ობიექტზე გარკვეულ ჭარბობი შეინიშნება.

სანჯონის დასახლებების მე-17 კორპუსის მე-2 სართულის მოზინადრე: — რატომ უკეთებენ ახალ სახლებს კარ-ფანჯრებს, თუ ისინი სახლის ჩაბარების შემდეგ მთლიანად გამოსაცვლილია?

მთავარი ინჟინერი: — ზოგიერთმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ყოველ მშენებარე ობიექტს იბარებს კომპეტენტური კომისია, რომლის მახვილ თვალს ძნელად თუ გამოეპარება რამე. კომისია შეიძლება შეგნით არ შევიდეს კორპუსში და არ დაიწყოს წუუნის გამოჩხრეკა — აქ შუქი რატომ არ ინთება, აქ რადიატორი რატომ არ არის შეერთებული, აქ რატომ არის ჭერი ჩამოხრეული და პარკეტი აყრილი და სხვ., მაგრამ კარ-ფანჯრების გარეშე კი სახლს ნამდვილად გერჩაბარებს! იმაზე, რაც ერთბაშად მოხვდება თვალს, თვალის დახუკვა ნამდვილად შეუძლებელია!

იმავე მიკრორაიონის მე-2 კორპუსის მე-18 ბინის მოზინადრე: — რატომ არის, რომ ახალაშენებული ბინის ზოგ ოთახში ინთება შუქი და ზოგში — არა?

მთავარი ელექტრიკოსი: — ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბავია. რა მოხდა, თუ ერთ ოთახში არ ინთება შუქი? მაგრამ აქ სხვა აზრი ძევს: ახალმოზინადრეს შეიძლება დაეზაროს ბინის გარემოტება. როცა ერთ ოთახში შუქი არ ინთება, იძულებული ვაზდება, იმ ოთახში გამოცვალოს ელექტროფანჯანოლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კედელი დაანგრიოს, ესე იგი, იძულებულია, ბინა გაარემონტოს!..

ვაჭისუბნის დასახლებების მე-3 მიკრორაიონის მე-5 კვარტალის მე-2 კორპუსის 27-ე ბინის მოზინადრე: — არის თუ არა გეგმაში, ექსპერიმენტის სახით ქალაქში აივოს საცხოვრებელი სახლი, სადაც ახალმოზინადრეებს არ დასჭირდებათ ბინის გარემონტება?

112-ე ტრეტის მთავარი ინჟინერი: — ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ, მოქალაქეები კმაყოფილი იყვნენ ჩვენს აშენებული საცხოვრებელი სახლებით. ექსპერიმენტის სახით ქალაქის ერთ-ერთ მასივში უკვე დაიწყეთ ასეთი სახლის მშენებლობა, მაგრამ ჭერ არ ვიცით, როგორ შეეგუებინათ ამ სახის საცხოვრებელ სახლებს მოზინადრეები!..

(დასასრულიც იქნება და დამთავრებაც!)

კაპიტალიზმი მოკრიშა!

იუმორისა

— შევისვენოთ, თორემ გავწყდით წელსი.. დღეს მაინც ვერ მოვრჩებით ამის შელესვას!..

— რა დროს მორჩენაა?! საღამომდე თუ ამ ოთახიდან გავვდით, სანთლები დავანთოთ! ხომ გითხარი, ერთი კვირა მაინც მოვუნდებით-მეთქი?!

— რა ვიცი, ორი ამდენი შევლესეთ, ამას წინათ, საბურთალოზე, ერთ კვირაში..

— იქ ასე არ იყო დაბრცილი კედლები!

— ისე, იაფად კი ვაკეთებთ! გოგი და ვაჟა ამაში ტყავს გააძრობდნენ ამ ბინის პატრონს!..

— ტყავი უნდა გააძროს კაცმა ამ ბინის პატრონს! მაინც რას შოულობენ ამდენს ამ კალონკაზე, წყალს ხომ არ ათქრიან ალბებენ ეს დალოცვილები?

— რა ვიცი, კი დაფრინავენ ეს მანქანები და...

— ჩვენ რომ შარშან სახლი შევლესეთ პავლოვზე, მისი პატრონი წვენებში გადასულა.

— სადაც უნდა, იქ არ გადავა? ისე, ურიგო კაცი არ არის, არც შეგვეპურებია ნეტა, მეთი გვეთქვა!


— კვადრატულ მეტრში 5 მანეთი ავლიტეთ, ზაფხულის ფასად ვიმუშავეთ შუა ზამთარში, მეთი რა აგველო?

— ზოგს ფული აწუწურაქებს! რა ერქვა იმას, ავლაბარში რომ სიქა გაგვაცალა?

— მაგისი სახსენებელი გაწყდა!.. კაპიკაპიკ გვიანგარიშა ყველაფერი, ჭერიც არ დაგვალოცვინა!..

— ჭერის დალოცვა და დროისტარება, იცოცხლე, დიღომში გვქონდა!.. ორი დღის სამუშაო ორი კვირა გავწელით!..

— რა ჩვენი ბრალი იყო? მოვიდოდა



სეიგარ გინას აუხეზს, თანაც ვაგადლის: „ა, შ ე ნ ე ს!“

ის დალოცვილი სახლის პატრონი შუადღე, დატვირთული, აბა, ბიჭებო, მოშიებული იქნებითო და თამადად დაგვიდგებოდა!.. შოფრადაც კარგი ბიჭი ჰყავდა დაქირავებულში..

— ეს რა მოგატანია, უკეთესი ძეხვი არ იყო?

— ამაზედაც კუთხის გასტრონომში გავედი ამ დილით!

— გახსოვს, რა ძეხვეული ჰქონდა ვალიკოს?

— აბა, ვალიკო?! მალაზის გამგე?

— არა, ავტოპროფილაქტორიუმში რომ მუშაობს!..

— მაგისთანა კაცს ღმერთმა მისცეს ყველაფერი! ორი მანქანა და სამი აგარაკი კი არა, მეთიც ალალია მისთვის!

— რა მაგის პასუხია და, კარგა ხანში, ვასო და ნიკო არ დამილანდავს ეზოში.

— ალბათ, რაიონში აიღეს სამუშაო. პარკეტის დაგებაზე გადავიდნენ თუ ისევ მონტიორობენ?

— პარკეტზე ხომ დენისი და ზურა დადიანს!.. ისე, მაგათი მონტიორობა რა ვთქვა, კინაღამ გადაბუგეს საწინაშე ერთი კორპუსის!.. კიდეც კარგი, სახლი ორი წლის ჩაბარებული იყო და ხალხი ჭერაც არ შესახლებულიყო!..

— არა, ძმაო, ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერ!.. ნახევარ განაკვეთზე დაიტოვებს თავი ინსტიტუტში!..

— ააშენოს ღმერთმა ჩვენი ბინათმუშენებლები! თავიდან გასაკეთებელი რომ არ გვქონოდა ყველაფერი, ვერც ჩვენ დავუფლებოდით ამ ხელობას და ახლაც ინსტიტუტში ვიქნებოდით!..

გაბას გაბიბა



ვადაძლეო
ქალაქის
ფეხსმართლები

ერთ სახლს ტრესტი
ამინებდა,
თავი პქონდა ცათამდეო,
ზედ წარწერა ამშენებდა—
„ჩაგაბარებთ ვადაძლეო!“
მოწოდება მოგვეწონა
და ამაზე გეტყვით ქვევით:
კოლექტივის ამ კარგ
შრომას
მიუძღვნათო, ვთქვით
ნარკვევი!
სანამ თემა გამოვანახეთ,
ვართ ფანქარმომართულები,
კოლექტივიცა, დავინახეთ,
დაამთავრა სართულები!..
აი, ტემში საკვირველი! —
აქ ნარკვევი რას გვეყოფა?!
მშენებელთა ასეთ შრომას
შეშვენდება, ვთქვით,
მოთხრობა!
და მოთხრობის წერა
ვიწყეთ,
სამი კვირა ვწერდით თანაც,
ამ დროს სახლი
დაამთავრეს
გარედან და შიგნიდანაც!
მაღე მივხვდით,
მოთხრობაში
ვერ ჩავტევდით ტრესტის
შრომას,
რომ საქმენი მშენებელთა
მოითხოვდა ფართო რომანს!
სანამ გმირი გამოვანახეთ
და თემები გვექონდა ახლის,
მიგვიწვიეს,—დროზე ადრე
ჩაბარება მოხდა სახლის!
და როდესაც ჭეშმარიტი
დავინახეთ სანახავი, —
დაბზარული კედლები და
უკეტელა სარჩავი, —
ხასიათი შეგვეცვალა,
დავანებეთ რომანს თავი
და ორ დღეში სულაც,
მგონი,
დავწერეთ ეს ფელეტონი!
შეიძლება ჩვენი შრომა
რითმებით ვერ დავახვავთ,
მაგრამ იგი რედაქციას
დროზე ადრე ჩავაბარეთ.

თარგმნა
ლევან სულავაძე



— ქალბატონო! გამოფინეთ თქვენს რამე!
რატომ ამახინჯებთ ფასადს?!

— გამარჯობა, ვარლო, შენი!

— გაგიმარჯოს!

— თბილისში ბრძანდებოდი, არა?

— კი, თბილისში ვიყავი!

— კარგად თუ იმგზავრე ქემანც?

— იქითობას — საშინლად: ოთხი ბილეთი იყო გაყიდული ერთ ადგილზე!..

— აქეთობას?

— აქეთობას — დიდებულად: ერთი ბილეთი იყო გაყიდული ოთხ ადგილზე!.. ისე დერეფანში ქვეყნის ხალხი იდგა!.. ჩამოწყდნენ საცოდავები ფეხზე!..

— მერე, ვერ შეიპატიეთ კუბში?

— კი, ასეც მოიქცა ჩვენი გამცილებელი. შემოიყვანა სამი კაცი. დილით თუმან-თუმანი დაუტოვეს

**მატარებელი —
ჩიხუი!..
სამმართველოც —
ჩიხუი!..**

ნაწყვეტი წიგნიდან:
„უ ბ ი ლ ე თ ო
მ გ ზ ა ვ რ ი“

მოდის მატარებელი,
ჩემი გამმწარებელი!
ხ ა ლ ხ უ რ ი

— გაწვალდი ალბათ იქითობას! ვერ უთხარით უფროსს რამე?

— ვუთხარით, კი! მაგრამ რად გინდა?! — არ ესმით არაფერი! მატარებლის ხმაურში არ გინდა, გაიგონო?!

— დაგწერათ მაშინ!

— დავწერეთ კიდეცა! — აქაც, მოსკოვშიც, მაგრამ რად გინდა?! — მატარებლის ძიგძიგში არ გინდა, წაიკითხო რამე?!

— არ ყოფილა, აბა, ჩემო ვარლო, საშველი!

— ასე მგონია მეც! მატრო მატარებელი კი არ არის ახლა ჩიხუი, სამმართველოც ჩიხუია, როგორც ჩანს!

ბია-ბია

— არ ხართ მართალი, პატივცემულო კირილე! წარმოუდგენლად დიდი დანაშაული ჩაიდინეთ თქვენი შვილის წინაშე: ბიჭუნას შეპირდით, რომ ზაფხულის არდადეგებს ოჯახთან ერთად გაატარებდით, ჩვენი სამშობლოს დიდ ქალაქებს აჩვენებდით, თქვენ კი დაპირება არ შეუსრულეთ!.. გორკის ნათქვამი მაინც დამახსოვრეთ: „მაგვფეში ჩვენი ზვალინდელი მსაჯულები არიან!“ ჩემი მხრივ კი, როგორც პედაგოგი, დავუმატებ: შეპირდეთ ადამიანს და არ შეუსრულო! — გამწყრალი ეუნებოდა ჭიათურის რაიონის სოფელ ნავარძეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი აზა აბაშიძე ერთ-ერთ მშობელს.

— არა უშავს, აზა მასწავლებელო, ჩემს შვილს დანაპირებს აუცილებლად შევსრულებ!

— ნამდვილად სპეტაკი, მოწოდებით პედაგოგი, კეთილსინდისიერი ქალია ჩვენი აზა პეტრეს ასული აბაშიძე, — ფიქრობდა სკოლიდან შინ მიმავალი დატუქსული მშობელი.

„სპეტაკი“, „კეთილსინდისიერი“ და „მოწოდებით პედაგოგი“ აზა აბაშიძე კი სინამდვილეში ორი ცხოვრებით ცხოვრობდა: პირველი — ეს იყო სკოლაში პედაგოგის მოჩვენებითი მუყაითობა, მეორე კი — თაღლითობა, მომხვეჭელობა და მექრთამეობა!

... საღამოს 9 საათია. ჭიათურაში, ორჯონიკიძის ქუჩა № 16-ში, აზა აბაშიძის სახლის კარებზე მორიდებით დააკაკუნეს.


კარები დიასახლისმა გაღო.

— ქალბატონო აზა, მე სოფელ ნიოჭეთიდან ჯანიკო ჯაოშვილი გახლავართ. თქვენთან მომასწავლეს... შვილის თაობაზე!..

— მობრძანდით, მობრძანდით! — არ დამთავრებინა სტუმარს სიტყვა მასპინძელმა და შინ შეიპატიჟა.

— თქვენს იქით გზა არა მაქვს, ქალბატონო აზა! შვილი მყავს მოსაწყობი უმაღლესში — ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს უმიზნებს. ჰოდა, თუ დამეხმარებით... სომ გაგიგონიათ, ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირობა!..

— აჰ, ეს რთული საქმეა! მაგრამ თქვენ ისეთი კაცის გამოგზავნისი ყოფილხართ, ძნელია უარის თქმა. გარდა ამისა, ქართული ანდაზისა არ იყოს, შვილი ცოლ-ქმრის სიყვარულს შუა ყოფს. ჰოდა, რახან ასეა, ეგ საქმე მე მომანდ! ისე ჩათვალე, რომ შვილი უკვე ჩარიცხული გყავს უმაღლესში, მხოლოდ...



შველაფერი შევიძლიათ, ძალიან ვთხოვთ, გაითვალისწინოთ ბინის მიღებისას: მესამე-მეოთხე სართულზე ზევით ნუ იქნება, სიმაღლეს პერ ვიტან!..

— კი, მაგრამ...

— აბა, ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდი, ქალბატონო აზა?! — გაკვირვებისგან წარბები აზიდა დალი კაპანაძემ. აგერ 2.000 მანეთი მოგიტანეთ — დანარჩენს, როდესაც მიბრძანებთ, მაშინ მოვართმევთ!

...მოდიოდნენ და მოდიოდნენ დოყლაპიები აზა აბაშიძესთან. ზოგი რას თხოვდა და ზოგი რას. ფულბიცი წინასწარ გამზადებული ჰქონდათ. აზა როდი ეუბნებოდა უარს. რეზო კაპანაძეს ჭიათურაში ჩაწერა და ბინის მიღება სურდა. აზა მას უარი როდი უთხრა. წინასწარ 1.500 მანეთი გამოართვა და დამშვიდებული გაისტუმრა. სოფელ რცხილათში მცხოვრებმა დემურ ჩაფიძემ 2.300 მანეთი, სოლო სოფელ უსახელოში მცხოვრებმა ნანული დოლიძემაც 2.300 მანეთი და უტოლვეს წინასწარ აზა აბაშიძეს ჭიათურაში ჩაწერისა და ბინის მიღებისათვის. სოფელ გუნდაეთში მცხოვრებ შერი ახვლედიანს კი ჭიათურაში ჩაწერისათვის 1.000 მანეთი უნდა გადაესადა!..


შედარებით „მაგარი კაკალი“ აღმოჩნდა სოფელ პერევისაში მცხოვრები რეზო კურცხალია, რომელმაც ჯანიკო ჯაოშვილივით სამარშრუტო ტაქსზე დაჯდომა მოინდომა.

რეზო კურცხალია იმდენი ევაჭრა და ედავა აზა აბაშიძეს, რომ 5000 მანეთიდან 1700 მანეთზე ჩამოიყვანა და აღნიშნული თანხა იქვე გადასცა, ვითომდა მთავარი ინჟინრისათვის მისაცემად, რაც აზა აბაშიძემ მიითვისა. სულ მან 15.100 მანეთი დასტყუა თავის მსხვერპლთ.

ნათქვამია, ტყუილი კაცს შერცხვენსო. ამჯერად ეს ანდაზა სწორი არ აღმოჩნდა, როცა აზა აბაშიძე ამხილეს და განსასჯელის სკამზე დასვეს, იგი ამაყად, გამართული, პირლიმილიანი, თავაწეული იჯდა საბრალდებულო სკამზე და იქედნურად გადასცქეროდა დარბაზში მსდომთ, თითქოსდა ამბობდა: „რა ჩემი ბრალია, თუ ღლავები თავიანთი დოყლაპიობის გამო სვედებოდნენ ბადეშიო!“ მხოლოდ ერთ-ხელ გამოჩნდა აზა აბაშიძის სახეზე ცხოველური შიში, როდესაც სასამართლომ მას გამოუცხადა განაჩენი — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდინა. სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით ჩამოერთვა პედაგოგად მუშაობის უფლება!

ზაალ მესხინისარი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

მისხინი ანესი შვლატონი



— კი, ბატონო, კი, თავს არ შევირცხვენთ! 4.500 მანეთი აგერ ჯიბეში მაქვს. ჯერ ეს იყოს და 10.500 მანეთს მაშინ მოვართმევთ, ბავშვი ინსტიტუტში რომ ჩაირიცხება! ცოტა ხელშეშლილი კაცი ვარ და მეტი საშუალება არა მაქვს!..

— როგორ?! პირადად თქვენ ხომ არ გიჭირთ რაიმე?! აგერ ვარ, ბჭვი, შე კაცო! — ცალუბად წაილაპარაკა აზა აბაშიძემ და თან ჯანიკო ჯაოშვილის მიერ მიცემული 4.500 მანეთის სისწორეს ამოწმებდა.

— კი, ჰო, მიჭირს! ამჟამად არ ვმუშაობ. პროფესიით მძღოლი ვარ. სამარშრუტო ტაქსზე მინდა მოვეყუო. აი, თქვენ რომ იკისრებდეთ ჩემს ტაქსზე მოწყობას...

აზა აბაშიძემ ყურები ცქვიტა, — აქედანაც შეიძლება გამოდნეს რამეო, — გაფიქრა.

— ახლოს ვიყავ, არა მნახე, შორით მომე სალამიო, ანდაზისა არ იყოს, ისეა შენი საქმე! ორი საზრუნავი გამიჩინე, რა ვქნა, უნდა გიშველო, მაგრამ ხომ იცი... აჰაც...

— კი, ბატონო, კი, მზადა ვარ („ბიჭოს! გამჭირახი ბიჭი ყოფილა. თავისით ხედება ყველაფერს!“ — კმაყოფილად გაფიქრა აბაშიძემ), მაგისათვის, სამარშრუტო ტაქსზე მოსაწყობად 5.000 მანეთი მაქვს გადანაშულო, ნახევარს — 2500 მანეთს ახლავე მოგირბენინებო!..

— რა გაეწყობა, ეგრე იყოს!..

როდესაც ჯანიკო ჯაოშვილი წავიდა, კარებზე კვლავ კაკუნის გაისმა.

— ქალბატონო აზა, ხალხი გელოდებთ! ჩემ საქმეზე როდის შეგაწუხებ?

— მე თვითონ შეგატყობინებთ! ნუ აჩქარდები, რახან ჩემთანა გაქვთ საქმე, მშვიდად იყავით!

კარებზე კვლავ კაკუნის გაისმა.

— მობრძანდით, მობრძანდით! რაზე გარჯილხართ? — ღიმილით შეგება დალი კაპანაძეს აზა აბაშიძე.

— ქალბატონო აზა, უნდა დამეხმაროთ! მე სოფელ ჯოყთეთში ვცხოვრობ, მომწყინდა სოფელში ცხოვრება! ქ. ჭიათურაში უნდა ჩამწერო, ისე რომ, ბინაც მიმაღებინოთ! უარს ნუ მეტყვით, თქვენ



მუსრანის საავადმყოფოში

უსაბუდე დაიწყო ახალი წელი ზაქარაანთ ნიკამ. კარგად შეზარსოშებულმა ზუსტად 12 საათზე ფილთა თოფი აივანზე გამოიტანა, ბნელ ღამეს მიუშვირა, ახალ წელს გაუმარჯოსო, ომანინანდ შესძახა, სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ თოფმა კი არა, თვითონ ნიკამ მოადინა ზღართან ატალახებულ ეზოში. ხმაურზე ოთანხიდან გამოფენილი სტუმრები ნიკას უფროსმა ბიჭმა ვანუამ აქეთ-იქით მისწი-მოსწია და მამას წაუბოლა.

ფაქტობრივი

— თუ გადმოვარდნა გინდოდა, შე კაი კაცო, ახალი წლიდან ერთი კვირით ან აქეთ, ან იქით ვერ გადაწივ!

ღვინით გახურებულმა ნიკამ შვილს ხელი აუქნია, მე სწორედ ახლა მინდოდაო, წაიბურტყუნა და მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, გონი დაკარგა!..

მუსრანის საავადმყოფოს ოღროზოლოგი კიბეზე ციმციმ აიყვანეს ავადმყოფი. ექიმმა სათითაოდ დაუთვალა ნეკნები, სერხემლის მალეები, მუსლის კვირისტავები, თუძო-ბარძაყის ძვლები და ბოლოს მარჯვენა ფეხის კოჭთან სქელი თაბაშირიანი დოლბანდი ლავაშით მიაკრა.

მეორე დღეს მზე შუბის წვერზე იყო ასული, ავადმყოფმა რომ თვალი გაახილა, პალატაში ისე ბნელოდა, ვერაფერი დაინახა, ლოგინზე წამოიწია, ხელები გაასახსნავა და სკამზე ჩამოყვინთულ მუღღღეს პირისახეში ატაკა. დაფეთებული მარიამი ფეხზე წამოვარდა, საავადმყოფოს უსწორმასწორო იატაკზე ფეხი დაუცდა და ნიკას მოტეხილ წვივთან მოადინა ბრაგვანი!..

— ვაი! — დაიძახა ნიკამ და ლოგინზე მიესვენა. პალატაში მოვარდნილი მორიგე ექიმი კარგა ხანს ეძებდა, ელექტრონის ჩამრთველს, ბოლოს ოთანხის კუთხეში მიაგნო, გადაატრიალა, მაგრამ თქვენიც არ მომიკვდეთ! — ბნელი ოთანხი ვერ გაანათა და ნიკას თუძოზე ნემსი ვარაუდით ატაკა. ნიკამ თვალი გაახილა, ჯერ ბათქემ-ჩამოცვენილ ჭერს მიაშტერდა და მერე მოლაღლაღებულ ტინარს.

— კედელი ქანაობს, — ჩაილაპარაკა ნიკამ და გვერდი მოინაცვლა.

— კომოციო, ანუ იგივე ტვინის შერყევა! — დასკვნა ექიმმა.

„ოცდაერთი დღე გაუნძრევლად უნდა იწვეს!“, „არ იმობროს!“, „სინათლე არ ანთოთ!“ — „არ ესაუბროთ!“ — ისმოდა ექიმის შეგონებანი და განდევნილი გაყვნილი ზაქარაანთ ნიკა ხოჭოსავით ბნელ ოთანხი იწვა პირმოკუმული.

მეჩვიდმეტე დღეს ექიმებმა დალაპარაკების უფლება მისცეს. გასარებულმა ჯერ შინაურები მოიკითხა, მერე გარეულები და როცა ლაპარაკით გული იჯერა, ისევ იმ ტინარს მიაშტერდა.

— კედელი ქანაობს, კაცო, და რა ვქნა, ზედ არ დაგვეცეს! — ამ სიტყვებთან ერთად თავზე საბანი წახურა და ზღარბივით მოიკუმა.

— ტრიოქსაზინი, დიმედროლი! — ისმოდა ექიმის ბრძანება და ნიკაც ბატიბუტივით ისტუმრებდა წამლებს კუჭის მიმართულებით. იმ ღამეს ძლიერი ქარი ამოვარდა. მარიამი ისევ იმ სკამზე თვლემდა, შუალამისას გაეღვივა, ავადმყოფს საბანი ამოუკეცა, მერე ტინარისაკენ იბრუნა პირი და კივილი გააბა.

— კედელი ქანაობს, ხალხნო, კედელი! — პალატაში შემოსულმა ექიმმა ცერათითი შუბლთან მიუტანა და მარიამს მტკიცედ მოსთხოვა: — თვალი გააყოლე ამ თითს, ქალო! — და როცა ექიმის თითმა ნახევარწრიული მოძრაობა დაასრულა, ტინარი ძლიერად შეტოვდა და გაფშეკილ თითს ნივრის ფოჩივით მოუაკეცა თავი.

კედელი კი მართლაც ქანაობდა. მუსრანბატონის ყოფილ ციხეში შეხიზნულ სოფლის საავადმყოფოს დღევანდელი მდგომარეობით კედლები დარღვეული აქვს. იატაკი — ამოყრილი, ჭერი — ჩამოვარდნილი. პალატები — ბნელი. საავადმყოფოს არ გა-

აჩნია კარდოლოგიური, ფიზიო და რენტგენის კაბინეტები, ოთხკვადრატული მეტრის მქონე ფართობში მოთავსებულია ავადმყოფთა მისაღები, სოლო კვების ბლოკი 12-კვადრატულ მეტრშია, სადაც ხდება ჭურჭლის დარეცვა. საავადმყოფოს არა აქვს კანალიზაცია. აღნიშნული პირობების გამო შეუძლებელია სანიტარიული პირობების დაცვა!

P. S. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის დიდი ხანია ცნობილია მცხეთის რაიონის სოფელ მუსრანის საავადმყოფოს მდგომარეობა, რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა არაერთხელ აცნობეს აღნიშნულის შესახებ, მაგრამ სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები ზომებს აღბათ მაშინ მიიღებენ, როცა დარღვეული კედლები, მოქანავე ტინარები და ბათქემამოცვენილი ჭერი ერთბაშად დაამთავრებენ არსებობას!

3. გაშუქალაშვილი

ნახ. მ. აბაშვილის



— დაიწუნა. ხომ?! რადგან ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის ერთმანეთისაგან გარჩევას უკვირებ, ახერხებს, მორჩენილა და გაწერეთ!

**ქარლოვის მონაწილე... ღაკაჯი,
ანუ პირგახიანს პიკის გეო**

ფალატონი

განსომავატი ვაჟას ერთი მოთხრობი-დან, ბნელ ღამეს შეფარებული მშვიერი მგლე-ბი სოფელზე თავდასასხმელად კბილებს რომ ილევავენ და უცებ მთვარე ამოანათებს!.. იმ მგლებივით უმთვარო, ზამთრის კუნაპეტი ღამე შეერჩიათ კუპატებზე სანადიროდ დაგეშილ სობელ ამფსონებს — ომარ გერგაიას, გურამ ჯიქიას, ედუარდ ნადარაიას და ლანჩხუთიდან ბიძასთან სტუმრად ჩამოსულ გოდერძი ჩხარტი-შვილს.

— ვიჩქაროთ, არ შემოგვათენდეს! — შეაგუ-ლიანა თანამოაზრენი რესტორან „ნოჯინგვის“ ჭურჭლის მრეცხავმა შურა პირტახიამ და დას-ძინა: — ჩვენთან, საწყობში, ბევრ სხვა რამე-საც ისილავთ პირის გემოს საკადრისს!

საჩქაროდ მიაშურა შურასგან გამეტებულ სათავსოს გათამამებულმა ოთხეულმა, კარს საკეტები ძალაყინით აავლიჯეს და გ. ჯიქიას სახლისკენ სწრაფად აფრინეს საგანგებოდ დამ-ზადებული კუპატები, 1400 ცალი „კოსმოსი“, ათობით მაღალი მარკის კონიაკი, არაყი, ორი ყუთი შამპანური, შემწვარი გოჭები და ქათ-მები!..

პირტახია კმაყოფილი ნაბავდა თვალებს, ფიქრობდა, ვარაუდი ხომ გამართლდა და პი-რის გემოსაც ვერავინ დამიწუნებსო. ოჯახის დიასახლისმა კი, ოთხი მცირეწლოვანი შვილის დედამ, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, არა-ერთხელ გამხდარა მსგავსი კამპანიის მონაწი-ლე, სუფრის გამლა არ დააყოვნა: სობისწყლის პირას შენიღბულ „მგლის ბუნავში“ გაჩაღდა ღრეობა, რომელიც მეორე დღესაც გაგრძელდა. დელიკატური სასმელებისაგან გაბრუნებულ ქურ-დებს თავი ქუდში ეგულეობდათ, მაგრამ იმ წუთებში ოპერატიული ჯგუფი შინაგან საქმეთა ხობის რაიგანყოფილების უფროსის ვ. გავ-რეულიძის მეთაურობით ცნულ კვალზე მიზან-დასახულად მოქმედებდა.

უაზრო, არამი პურობა კულმინაციურ ფაზაში გადადიოდა, როცა თვითკმაყოფილ ავაზაკებს თავზე წაადგნენ სისხლის სამართლის სამძებ-როს უფროსი ოპერწმუნებული ი. გუნიავა, ოპერწმუნებულები — ს. ხურცილავა, ა. კატუკია და მილიციის სხვა თანამშრომ-ლები. შეპყრობილებმა დაკითხვისას ცოდვები აღიარეს. სამოც წელს მიღწეული პირტახიას ერთგვარი სიჯიუტისა და მოჩვენებითი გულ-გრილობის მიუხედავად, ბნელ საქმეს ფარდა აეხადა; ამასთან მოულოდნელად ერთი გაუნსნე-ლი დანაშაულიც გამოაშკარავდა: თურმე, აღნიშ-ნული ქურდობის მონაწილეს ო. გერგაიას, რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სის-ტემის ქალთა ატელიეს დარაჯად მუშაობის დროს ეს ობიექტი გაუძარცვავს და ამ ბინძურ საქმეში ჩაუთრევიდა მეორე ღამის დარაჯი ვ. გვასალია, რომლის სახლიდან ამოღე-ბულ იქნა ბრალდების დამადასტურებელი საგ-ნები.

ღამის დარაჯიც სწორედ რომ ასეთი უნდა— მოსწერებული და უჩინარი!.. საზოგადოების ხორცმეტებს კანონმა შესაფერისი მიუზლო, ისინი მთელი სიმკაცრით დაისაჯნენ!

... დასაწყისში ხსენებულ იმ პატარა მოთხრო-ბის სათაურია „ამოდის, ნათღება!“, რასაც მთვარის ნათელისაგან დამფრთხალ, სასოწარ-კეთილ მგლებს წამოამახსებინებს მწერალი.


ასეა, ადრე თუ გვიან, ყოველგვარ მხედურ განზრახვას, ბოროტებას სინათლის, სიმართლის ძალა გადაუკეტავს გზას!

ანზორ ბარამია,

„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

„საბირობა მტკიცედ ვძლევედეთ კუთხურობის, გაუყოფი-ბის, გახელადების ელემენტებს, როდესაც ზოგიერთი ამხანაგი სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე გამოიჩინოს თავი, ღვაწლად მიიწე-როს ყოველივე კარგი, რაც კი რამ არის რაიონში, ხელს უწყობს მამამებლობას და მლიქვნელობას. ხშირად, სწორედ ეს „მადებს“ სა-კუთარი „უბადლოებისა“ და დაუსჯელობის გრძნობას“.

ნ. ა. აბაშიძის



— კიდევ არ ჩავისვამთ ჩემი სურათი ჩარჩოში?
— ხაზინი გუშინ ჩასვეს ციხეში, დღეს თქვენ ბრძანდე-ბით მის ადგილზე და ასე უცებ ვეღარ მოვასწარით!..

შანტსაოებები

- **გაპირდება** ბილეთიანი მგზავრები!
ტრამვაი-ტროლეიბუს-ავტობუსების გაერთიანება
- **გაპირდება** ბრმა დამკვეთები!
სელოსანთა ამხანაგობა
- **გაპირდება** ჯანმრთელი ავადმყოფები!
საავადმყოფო
- **გაპირდება** თვალახვეული მყიდველები!
უნივერზალი
- **გაპირდება** 1 მუშა და 100 ინჟინერი!
წარმოება
- **გაპირდება** სიტყვის კაცი!
მოტყუებული ქალი
- **გაპირდება** სამმაგი ტირაჟი!
დამწყები მწერალი
- **გაპირდება** მკითხველებთან შეხვედრები!
უცნობი მწერალი
- **გაპირდება** დიდი სახელი!
უსახელო მწერალი
- **გაპირდება** პატრონი!
უპატრონო მწერალი

ფელიქს კოჩიაშვილი

ტეზისი


ფელატონის მამიკა

დღევანდელი დღე ჩვეულებრივად დაიწყო.

— ადგე, ბიჭო, სამსახურში გავეიანდებამ! ისევ უშუქელი უნდა წახვიდე? — წუწუნებს დედა.

ამგვარ ვალეიქებას შეჩვეული ვარ. ძილი ყველაზე ტკბილი დილითაა, დედას კი ედარდება, სამსახურიდან არ დაშითხოვონ და ერთი საათით ადრე ტენს განვაშს. ასე იყო თავიდან: ჯერ საბავშვო ბაღიდან გარიცხვით შემუქრებოდნენ. მერე — სკოლიდან და ინსტიტუტიდან, ასეა სამსახურიდან დათხოვნით მაშინებენ... მამამეში შინ თუ არაა, როგორღაც ვანერნებ ძილის შებრუნებას. ესეც არ იყოს, უკვე პროფკავშირის წევრი ვახლავართ და, აგრე ადვილად სამსახურიდან ვერავინ გამათავისუფლებს!

დღესაც რვა საათამდე ვიძინე, სანამ დედაჩემმა ბალიშის წართმევა არ დამიპირა. წამოვსტი, პირზე წყალი შევისსი, გამზადებული ჩაი უცებ გადავკარი და ბუციკის ქუჩით რუსთაველისაკენ დავეშვი. ამ გზას ჩვენს სკოლამდე ავტობუსურად გავდივარ, როგორც ხუთი წლის წინათ. ვმდილობ გრანიტის ფილებს წიმოებზე არ დავაბიჯო, არ დავითარსო. საათზე დავინვიდე. დღესაც უმანქანოდ ვერ გადავრჩები!..



საკონსტრუქციო ბიუროს მესვეურს მთავარი ინჟინერი, მთავარი ბუღალტერი და მთავარი ტექნოლოგი შემოვიკრიბა.

პრიცველმა კი ოთხმოცდაათი კაპიკი დაწერა. გაერეილი მანეთიანის მეტი არ შედო ჯიბეში, დავუდე მძლოლს წინ მთელი ჩემი ავლადიდება და კარი მაგრაფ მოვიჯახუნე!..

თმაწუკუჭა, შავგვრემანი მძლოლი გაფითრებული მომძახოდა:

— ამ დილადრიან სად შემხვდი, სად?! ვა, ტო! დღეს რა დავითარსე სიფთაზე! ეგ პაპია რო დავინახე სელში, მაშინვე მივხვდი, რა ჩიტოც იყავი!

ბრაზი მომერია, მინდოდა თმაში ვწვდომოდი, მაგრამ დირექტორისა მომეროდა. მეცნიერ მუშაებს შევერე. სხვებივით მეც აქეთ-იქით მიმოვივხედე, გაკვირვებული შევცქეროდი მძლოლს. რა დარწმუნდა, შარის მეტს ვერას წააწყდებოდა, სასწრაფოდ მოატრიალა ტაქსი და გააქროლა!..

ვალვა მგალაქა

აწი გაქსი ულარ ჩაქვღაბი!

ფელატონი

აბაბი წერეთლის სახელობის მეტროსთან შარშან ტაქსში ჩავქეცი და მძლოლს ვუთხარი, სადაც უნდა წავეყვანე. სულ 2 მანეთი და 20 კაპიკი მქონდა. ხელფასის აღების წინა დღე იყო. თავს ვერ ვგრძობდი კარგად, თორემ ამ თანხის პატრონი ტაქსში როგორ ჩავქვდებოდი? მთელი გზა სახლთან მისვლამდე სიტყვაც არ დამიძრავს. ფიქრობდი, მრიცხველმა მანეთი და 50 კაპიკი რომ დაწეროს, ორი მანეთი უნდა მივცე-მეთქი! წინასწარ ვიცოდი, ხურდას არ დამიბრუნებდა!..

ფიქრებიდან გამორკვეულმა მძლოლს ვუთხარი:

— ანთეთ, გეთაყვა, ვნახო რამდენი დაწერა მრიცხველმა!

— 1 მანეთი და 16 კაპიკი!

შვებით ამოვიხუნთქე. მანეთიანში 20 კაპიკი შევახვიე და გადავწოდე.

მძლოლმა ფულს დახედა და გაკვირვებულმა მკითხა:

— ეს რა არის?!
— ხელფასით ვცხოვრობ!

— ხელფასით ვცხოვრობ და ტაქსით დალიხარ?!

გაგულისებულმა მანქანა ისე სწრაფად მოაბრუნა, დაღმართზე კინალამ ვაღაბრუნდა. ამის შემდეგ ბარსაქან ქუჩაზე მომიხდა წახვლა. დანიშნულების ადგილს რომ მივედი, მრიცხველს შევხედე. მანეთი და 8 კაპიკი დაეწერა. მანეთი და 25 კაპიკი გადავუხადე მძლოლს. გაკვირვებულმა შემომხედა და მხრები აიჩეხა. არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, არ ეხიამოვნა. 16 ნომბერს კოლმეურნეობის მოედნიდან ტაქსით წამოვედი. მრიცხველმა 58 კაპიკი დაწერა, მძლოლს 70 კაპიკი გადავუხადე!

— ეს რა არის?! — იკითხა აღშფოთებულმა.

— ხელფასით ვცხოვრობ!

— ხელფასით ვცხოვრობ და ტაქსით დალიხარ?! როგორ ბედავო?! — და შემომიკურთხა.

არაფერი მითქვამს. მანქანის ნომერი დავიმასხვრე — 29-05 ბბბ. საათის ისრები 15 საათსა და 15 წუთს უჩვენებდა.

— ნომერი დაიმასხვრე? — მკითხა, — ახა, შენ და ახა, მე!

მას შემდეგ შიშით ტაქსში აღარ, ჩავმჯდარვარ!.. ამას წინათ, 20 დეკემბერს, შინ ვბრუნდებოდი. თავში გამიელვა, ყველაფერი ხდება, ვინ იცის, იქნებ ტაქსის მძლოლები მორჩულდნენ-მეთქი?! შეეჭვებულმა ტაქსი გავჩერე.

სახლთან რომ მივედი, მანქანა გავჩერებინე. მრიცხველს მანეთი და 16 კაპიკი დაეწერა. მძლოლს მანეთი და 20 კაპიკი გადავუხადე და ვუთხარი, ნუ მიწყნო, ხელფასით ვცხოვრობ და ორმაგს ვერ გადავიხდით, სამწუხაროდ, ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც დღეში 100 მანეთსა და მეტსაც აკეთებენ და ორმაგად ისინი გადაიხდიან-მეთქი!

— მე გადამიხდიან, მერე შენ რა?! — ფულში ხელიდან წამგლიჯა და გაგულისებულმა მოაბრუნა მანქანა.


იქნებ მანქანის ნომერი გნებავთ? — 68-98 ბბბ. ღრო — 21 საათი და 30 წუთი.

— ჰა, ჰა, ჰა! — ისტერიული სიცილი წამსვდა.


— ტაქსის მძლოლებს რა მოარჩულებს?! — ხმამაღლა ვთქვი და გადავწყვიტე, აწი ტაქსში აღარ ჩავდი!

ფაცია ჯიჯაიშვილი

ნახ. 3. კუციანი



— მპარცვავ, შე კასო?!
— არა! ხურდა დამიბრუნა!..





სატირული

ფეხს ითრევს და ხელს არ ანძრევს, **სატირული** დავალებას არად აგდებს და პიკლია მას ფეხებზე სამსახურის, ქვეყნის საქმე!

უპასუხისმგებლობისთვის მალე იგი პასუხს აგებს და პასუხისგების შემდეგ „ასტუმრებენ“ სატუსალოს!

პროტექტორი

კომპრომეტირებული, პროტექტორი კაცია, უღირს მუშაკს შეუქმნა ვალბი რეპუტაცია!

კარიერისტი

ყველაფერი იკადრა, ყველაფერი იკისრა!.. თავს სკამისთვის იკლავდა, გულად ედო რიყის ქვეს!.. გაუზზარა ინფარქტმა! — სკამს ვკარგავო, იფიქრა! — პროტექტორთა ბრიგადა მიუგზავნა სიკვდილსაც!..

ფოფავაულ-მოღუნავალი

მეუღლე ჰყავს გაშვებული, შვილი — ალვირაშვებული, შტატი — ნებას მიშვებული, უმწოდ გაფარფამებული!.. ყველასთან და ყველაფერში შეცდომა აქვს დაშვებული!.. მალე მასაც გაუშვებენ! — ალბათ უგრძობს ასე გული!

მუქთასორა

ნამდვილი პარაზიტია, ცხოვრობს უშრომლად — სხვის ხარჯზე! თუ მიზეზს შეეკითხები, თავს იკატუნებს, ისაწყლებს!.. არა, არ უნდა ვინღობდეთ, უნდა ვგმობდეთ და ვკიცხავდეთ, კინწისკვრით მივაცილებდეთ აქედანა და ციხეში!



„საქმიანი“ უსაქმური



კრიტიკის ვდავნელ-ჩამხშობი

რაც უფროსად თავი ახსოვს, სულ კრიტიკას დევნის, ახშობს!.. თუ მის სმასაც ჩაახშობენ, საქმისათვის ამას რა სჯობს?

ქალაქდღმთისზვამი

იგი სვიბრად განადა განუწყვეტელმა ქალაქდღმთისზვამი!.. ქალაქდღმთისზველობით დაბრმავდა, ჯაყრუმუნჯდა და დახავსდა!.. სულს დაღაფაუდეს სანამდევ, უნდა ვუშველოთ რაღაცა!

თავს ვაჩვენებს საქმიანად ეს ფიტული უფასური, დაღლილია უსაქმობით, უსაქმობით უდგას სული!.. საქმიანად ჭამა უყვარს, უყვარს სმა და უყვარს ფული!

გადაყვანებული

ტრახან-ლაქლაქით მთები გადადგა და შეუყენა საწარმოს წყალი!.. თავისი ნებით რომ არ გადადგა, გადაყენეს კანონის ძალით!..



ქაღვალაღი

გაბღენძვით დაიარება, ხელქვეითს სალამს ამაღლის და ქურქმოსხმული ღიღინებს: „მე ვარ და ჩემი ნაზადი!“

სძულს თანამშრომელს სუყველას, როგორც ჭირი და სხადი!.. აწ აღარავინ მოუთმენს, თუკი უთმენდნენ აქამდის!

მომხვეჭავლ-გამომკალაველი

მტაცებელია! აღმერთებს ხვეჭას, ცურავს ფულეში და პურ-მარილში!.. თუმინის გულისთვის კაცს ცოცხლად შეჭმს ეს განკთმყოყვარე და თუ მანისტი!

გადაგვარავალი

ყველაფერ წმინდას, მალას დასცინის, უყვარს ქვიფი და „დადნადი“, მორიელურად განლავთ გახრწნილი, კრეტიზობილი და თავდაშალი!



ქვემპროფი

პირმოთენობს უფროსთანა, მზაკვარია, არის ქლესაც, და ამ წამგლეჯს უყვარს თანაც სხვისი ხელით ხარის ვლეჯა!

კანიგალი

ცხოვლობს, აცხოვლებს ოჯახს ზღვაფულად, არის უძღები, აქვს ლომის მად!.. „და მიანიც სორცისა სჭამს კურად, ადა მიანიც სისხლსა სვამს წყლად!“..

კუთსურაკარჩაკებილი

შეძერა საკუთარ ნაჭუჭში, კარი ჩაკეტა ურდულით და არის კარჩაკებილი, გონებაგამოგულული!.. ირგვლივ რაც ხდება, ვერ ხედავს, განდა ურწმუნო, უმური, აქვს მისწრაფება კუთსური და კერძოქაქუთრული!.. გამოუცვლიან იმ ნაჭუჭს, გონს თუ არ მოვა უგნური!




განდიღავის ვანიით ვაყკოვილი

მოინდომა მეფობა, განდა კუშტი, თავნება!.. თავის თანამდებობას არ შეესაბამება!

ნახ. ზ. მორჩაიძის

„მილიტარიზმის ლოკომოტივად რჩება ამერიკის შეერთებული შტატები, მისი სამხედრო-სამრეწველო მანქანა, რომელიც ჯერჯერობით არ აპირებს შეანელოს სვლა“.



საბჭოთა-საქართველო
შურნალი „ნიანი“ № 7
(1713). აპრილი. გამო-
ლის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლძეძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიგვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფვივაძე, ნაფი ჭუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ისაწყობად 6.03.
86 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 4.04 86 წ. ქა-
ლალის ზომა 60 X 90 1/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,9, სა-
ქართგელოს კვ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 589. შმ 10177
ტირაჟი 143.000. ყურნალი
გამომცემლობა, თბილისი
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

აზრების ლოკომოტივი

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ